ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 28 აპრილი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
ირაკლი ავალიანი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
მალხაზ ზასილაძე	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში სპორტული ტრენაჟორების (2 ობიექტზე) მოწყობისათვის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 700 (შვიდასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1614. 16.04.2015 წ.)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 2 (ორი) კონკურსანტმა:

1. შ.პ.ს „ნგ ჯგუფი“ – 700 (შვიდასი) ლარი.
2. შ.პ.ს „პრაიმპლასტი“– 700 (შვიდასი) ლარი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 28 აპრილის 13:00 საათამდე პერიოდით.

განიხილეს: შ.პ.ს „ნგ ჯგუფი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „პრაიმპლასტი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

შ.პ.ს „ნგ ჯგუფი“-მ მიიღო - 12,4 ქულა.
შ.პ.ს „პრაიმპლასტი“-მ მიიღო - 13,6 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში სპორტული ტრენაჟორების (2 ობიექტზე) მოწყობისათვის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „პრაიმლასტი“.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების (ვლადიმერ ნაკაშიძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა“ და „მიმოწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: **ნოდარ მიქიაშვილი**

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე